ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3776365

ნომერი: AR1565362

თარიღი : 18.12.2017

გაცემის თარიღი : 15.01.2018

გაცნობის თარიღი : 15.01.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი კახეთი , N 156 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შიშუ პალ ბურდაკ პ/ნ 01092001279
- თბილისი დოლაბაურის მოედ. N 2ა/54

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30

დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურისსამსახურმა განიხილა2017 წლის 18 დეკემბრის AR1565362 განცხადება, რომლითაცითხოვთ ქ. თბილისში, დიდ ლილოში, კახეთის გზატკეცილი N156–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.08.16.420) მსუბუქი კონსტრუქციის მრავალფუნქციური შენობის (სავაჭრო, ოფისი) ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას.

პასუხად გაცნობებთ: სამსახურმა უკვე მოგწერათ, რომ მოწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N81.08.16.420) დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის-რუკის მიხედვით მდებარეობს საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2 (სსზ–2)–ში, ვინაიდან ნაკვეთის გაბარიტული ზომები არ არის შესაბამისობაში საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2 (სსზ–2) შესაბამის რეგულაციებთან, საკითხი უნდა იქნეს განხილული ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის კუთხით.

ამასთან ვინაიდან ტერიტორიაზე ვრცელდება საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის შეზღუდვა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის რეკომენდაციის თანახმად ტერიტორიის სამშენებლო განვითარება უნდა განხორციელდეს მსუბუქი კონბსტრუქციის ობიექტით, რაც საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2 (სსზ–2)–ში საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას, საკითხის განსახილველად უნდა წარმოგედგინათ ქალაქგეგმარებითი დასაბუთება, რომელიც დამუშავებული იქნებოდა მსუბუქი კონსტრუქციის ობიექტისთვის.

ამ ეტაპზე წარმოდგენბიუოლი ესკიზი არ შეესაბამება მოთხოვნილ სტანდარტებს, შესაბამისად სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი 2017 წლის 18 დეკემბრის AR1565362 განცხადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.